ყოველდღიური გაზეთი — ფასი 7 კაპ. — შაბათი, 11 მარტი, 1917 წ.

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივ[illegible] პირველ გვერდზე [illegible] 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს უცვლელად 10 კაპ.

№ 56 — ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი — № 56

# რუსეთის რევოლუცია

## ქართველებო, შეგნებულად, შეერთებულად, დინჯად!

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მტკიცედ შეჰკრან კავშირი პროვინციაში—როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.**

პარტიის მთავარი კომიტეტი.

## მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისათვის. შემოწირულება მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში.

## მოწოდება

ქართველო ხალხო, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ესწრაფეთ დაიმუშავოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საჩქაროთ უფხო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კართოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნუღარ გაქვთ.

## სამადლობელი პარაკლისი

მცხეთის სვეტიცხოვლის საკათალიკოსო ტაძარში, კვირას, 12 მარტს, დანიშნულია საყოველთაო პარაკლისი სრულიად რუსეთის ახალ მთავრობის განმტკიცებისათვის და რუსეთის მხედრობის მტერთა ზედა გამარჯვებისათვის. წირვას და პარაკლისს შეასრულებენ ქართველნი მღვდელმთავარნი ქართველ სამღვდელოების თანამსახურებით. პარაკლისს დაესწრებიან: საქართველოს თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, ქართულ კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი, ქალაქის თავნი, საქართველოს ყველა ეპარქიების სამღვდელოების წარმომადგენელნი და სხვანი.

წირვა დაიწყება დილის ათ საათზე.

თბილისის ქართველ სამღვდელოებას წინადადება ეძლევა გამოცხადდეს მცხეთაში თავიანთის შესამოსლებით.

ქალაქიდან მცხეთისაკენ გადის ორი მატარებელი: ა) „ხაშურის“ სამგზავრო № 5, დილის 9 საათ. 10 წ.; ბ) № 9, დილის 11 საათ. 3 წ.—თბილისის დროთი.

## ჯვარედინ გზაზე

როგორც უიმედო ავადმყოფის სარეცელთან მდგომნი გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს სენის მიმდინარეობას და კრიზისის დასრულებას, ასევე მთელის რუსეთის ხალხი მოუთმენლად ელოდდა დიადის აქტის მიმართულებას და დაბოლოვებას. პეტროგრადისაკენ იყო მიპყრობილი ჩვენი გონება; განცვიფრებულნი შევს[?]ცქეროდით შეუდარებელ, ჯერეთ უნახავ საშინელ ბრძოლის პერიპეტიებს: ვინ გაიმარჯვებს, ხალხი თუ მთავრობა? განახლდება ქვეყანა, თუ ისევ აუტანელი რეაქციის თარეში იქნება? ეს კითხვები არ შორდებოდა ჩვენს გონებას, არ გვაძლევდა მოსვენებას, მყუდროებას...

დაჰკრა ბედითმა ზარმა და თვალუწვდენელ იმპერიის ყველა კუთხეს მიაწოდა თავისუფლების საამური ჰანგები! თავისუფლების მზე მოეფინა მრავალტანჯულ ხალხს და ამცნო, რომ დღეიდან იგიც ჩაება მოწინავე კაცობრიობის ფერხულში, ვითარცა სრულ-უფლებიანი წევრი.

რანაირად ჩამოყალიბდება ამ ჟამად რუსეთის წყ[?]-წყობილება, რაგვარ ხასიათს მიიღებს მისი კონსტიტუცია,—ეს დამოკიდებულია იმ დამფუძნებელ კრებაზე, რომელიც უახლოვეს მომავალში უნდა შეიკრიბოს და ურომლისოდაც პოლიტიკურმა კონიუნქტურამ ნება არ მისცა დიდ მთავარს რუსეთის საიმპერატორო კვერთხისათვის ხელი გაეწოდებინა. ამიერიდგან ხალხის ნების-ყოფა შეიქმნა სახელმწიფო სხეულის მაშენებლად, მისის სულის ჩამდგმელად.

პასუხსაგები როლი არგუნა განგებამ რუსეთის ხალხს, და მით უფრო პასუხსაგები, რომ უდიდეს იმპერიას ჰყავს მრავალ-ფეროვანი ეთნიური შემადგენლობა. საერთო განახლებას უსათუოდ უნდა დაერთოს, ასე ვსთქვათ, პერიფერიების აღორძინებაც, რათა სალი სხეული არ დაბაბუნდეს კიდურის უსისხლობით. უდიდესი რევოლიუციონური აქტი, რომელიც განიცადა რუსეთის ხალხთა ისტორიამ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაისმის მსოფლიო ისტორიის საპატიო პედესტალზე, თუ იგი სწორ-წარზიდულათ განახორციელებს აწ გამოცხადებულ პრინციპებს და ცალ-მხრივ არ დაჰსვამს მხოლოდ „რუსეთის იმპერიის“ საკითხებს

ამოღებული ხმალი არ ჩაისმის ქარქაშში, ვიდრე ლოღიკურად არ დამთავრდება საძნელო საქმე ხალხთა ბრძოლისა კონტრ რევოლიუციის დამქაშების წინააღმდეგ. აუცილებელ დასკვნამდე უნდა მიეიღოს ის პროცესი [illegible] კებულმა ხალხის შეგნებამ ადვილად შეითვისოს უკვე დამყარებული სიტუაცია და უარყოფით და იჭვით არ შეხედოს ვისიმე სრულიად კანონიურ მისწრაფებას.

რუსეთის სპეულს მოეგლიჯა მყრალი ჩირქი დეგერენტთა „მმართველობისა“, ხალხის ენერგია მიმართულია იმისაკენ, რომ წარხოცოს ყოველივე, რაც მას მოაგონებს შესაზარ დროს—ხალხის კვნესის და დრტვინვისას. უნდა განახლდეს ქვეყანა, განგოზილი შევიდეს მოწინავე ერთა სამთავროში—გუშინ დამცირებული, ხოლო დღეს ამაღლებული და სხვათა ამმაღლებელი, გუშინ დაჩაგრული, ხოლო დღეს განთავისუფლებული და სხვათა განმათავისუფლებელი, გუშინ მორჩილი, უტყვი ყმა,—დღეს თავისუფალი და უყმო! ამაშია საწინდარი რუსის ხალხის ამაღლებისა და წინსვლისა, აქ უნდა ვეძიოთ ხალხის ნამდვილი მიდრეკილება, მისი ჭეშმარიტი სულის კვეთება. აქეთკენ უნდა იყოს მიმართული აგრეთვე ივერიელთა შეკითხვაც: თავისუფალმა რუსეთმა უნდა მოგვანიჭოს ის, რაც მონურ რუსეთმა ძალმომრეობით გამოგვტაცა ხელიდან!

რ. ინგილო.

## აღორძინება

არასოდეს ასე ბრწყინვალედ, ასე დიდებულად არ გამართლებულა ძველი თქმულება: „ზოგი ჭირი მარგებელიაო!“ თუ მსოფლიო ცეცხლი არ დანთებულიყო და თავის ალში არ გაეხვია რუსეთი, ჩვენ ისევ ძველს, გატეხილ გობთან ვისხდებოდით, ეს იმ გობთან, რასაც „რუსის მთავრობას“ უწოდებდნენ, რომელიც ემყარებოდა ერთის მხრით რუსეთის დიდს მომთმინეობას, ხოლო მეორეთ—რუსულს დახავსებულს სამინისტროს. მათ არ უწყოდენ რა იყო ხალხის ვაება, ხალხის მოთქმა და მისი ტანჯვა.

ამ სამი წლის განმავლობაში ცინიზმამდინ გაშიშვლებული იქმნა მათი გახრწნილი გამყიდველი სული, მათს გამოისად იყო რომ მილიონი ხალხი გასწყდა იქ, ბრძოლის ველზე, მხოლოდ იმიტომ, რომ დროზე არ აწოდებდნენ სასროლს მასალას, ტანთსაცმელს თუ ფეხსაცმელს, საჭმელს. ხალხი დაღუპვისკენ მიჰყავდათ და ამ დაღუპვის სარბიელზე აგებდნენ საკუთარს ბედ-[?]იერებას. მაგრამ აი, იქქა მეხმა და [?]ისხვის ტალღამ წაჰლეკა ტალა-[?]ი-წუმპე, რასაც თვით წმიდათა-[?]მინდის ტაძარშიც კი დაეყენებინათ [?]მორის სუნი.

პირადად ქართველობა რუსებზე მეტს [?]აჭირვებას ვიტანდით. ყველა იმისთვის, რაც ქართველობამ მისცა რუსეთს, ძველი მთავრობა მადლობას ხოლოდ ერთი უმადურობით უხდიდა. იგი სცდილობდა ჩვენი ხელიდან გამოეტაცნა ყველა ის, რაც დედის ძუძუსგან შეგვეწოვა. ძველი მთავრობა დამნაშავე იყო ჩვენი ხალხისა და ღვთის წინაშე, როდესაც გარყვნილ მღვდელმსახურთა ხელით გაგვიძარცვეს თვით ტაძრებიც კი.

დღეს უკვე ეს ასთავიანი ვეშაპი განმარულია. რუსეთის ამაყი შვილნი გამარჯვებას დღესასწაულობენ. ჩვენ, ქართველობა, მოვითხოვთ ამ ძლიერ მომენტში გასამართლებელ ვიქმნეთ, რომ აღდგენილ იქმნეს ჩვენი დაკარგული უფლებანი. ამიტომაც შორეულ სალამთან ერთად ვამბობთ: გაუმარ-[illegible] ქართველოს!

გაუმარჯოს მის ეროვნულ-პოლიტიკურს აღორძინებას!

დ. ქიაბრიშვილი.

## პეტროგრადი განსაცდელშია

ოფიციალი. დროებითი მთავრობის მოწოდება: მოქალაქენო და მხედრებო! ხალხის წინაშე პასუხისმგებელი განახლებულ რუსეთის მთავრობა ანგარიშს უწევს ყველა ამბებს და მოგმართავთ: ცნობა მოვიდა, რომ გერმანელები სწრაფად უყრიან თავს აუარებელ ჯარს ჩრდილოეთ ფრონტზე, რათა ისარგებლონ რუსეთში მომხდარ რევოლუციით და გარდამწყვეტი იერიში მოიტანონ პეტროგრადზე. თუ ეს მოახერხეს, მაშინ ამით გადასწყდებოდა არა მარტო პეტროგრადის ბედი, არამედ მთელი სახელმწიფოსი და განახლებულ რუსეთის თავისუფლებაც გაჰქრებოდა. დროებითი მთავრობა არა მალავს, რომ მტრის გამარჯვება გიქადით ძველს მონობის აღდგენას, თავისუფალი მოქალაქენი გახდებით გერმანელთა ყურმოჭრილი ყმები. არ მივსცეთ მტრებს ამის ნება! ერთობას, ორგანიზაციას და თავისუფალ ძალას შეუძლიან იხსნას სამშობლო განსაცდელისაგან! დაე, ყველამ თავის ადგილი დაიჭიროს: ჯარისკაცი ჩადგეს ლაშქარში, მუშა დაზგასთან, მოვაჭრე ხალხი საკუთარს დაწესებულებასთან, აფიცრები კიდევ წაუძღვნენ თავიანთ ჯარებს. შეერთდით ყველა, შეერთდით და მხარში ამოუდექით ახალს მთავრობას, გწამდეთ, რომ იგი ყოველ ღონეს მოიხმარს თქვენს დასაფარავად, განსაცდელის თავიდან ასაცილებლად. სატახტო ქალაქში ზოგიერთი ჯგუფები უთანხმოებასა სთესენ საზოგადოებაში და მით ხელს უკვრენ ახალს მთავრობას მოქმედება ნაყოფიერი ჰყოს. მოქალაქენო, თქვენ ერთსულოვნად იცანით, თუ რა სამსახური მიუძღვის არმიას თქვენს განთავისუფლებაში. მაშ ეხლაც დაეხმარეთ მოვალეობა შეასრულოს. რუსის მხედრებო! თქვენსკენაა მოპყრობილი მთელი რუსეთის ყურადღება. ყური მიაპყარით თქვენს უფროსებს. უწყოდეთ, მტერს უდისციპლინო ჯარისა სრულიადაც არ ეშინიან. ყურს ნუ ათხოვებთ ვინც შუღლსა და მტრობასა სთესს, გერმანელთა მრავალი ჯაშუშები ჯარისკაცთა ნაცრისფერ ფარაჯით დადიან და შუღლვარება შეაქვთ ყველგან. გწამდეთ მხოლოდ თქვენი აფიცრებისა. როგორც წინად ეხლაც ისინი თქვენთან იქნებიან, თხრილებშიც და ბრძოლის ქარბუქშიაც, რათა გამარჯვება დაგვირგვინდეს. აფიცრებო! თავისუფლების განთიადმა ჯარისკაცს მოქალაქის უფლებანი მიანიჭა. პატივით მოეპყარით და ჯარისკაცნიც უკან გამოგყვებიან, როგორც სანუკვარს წინამძღოლსა. მებრძოლნო! მტერს არა სძინავს! იგი სცდილობს ყოველი წუთით ისარგებლოს. თქვენი გამარჯვება, გამარჯვება იქმნება განახლებულის რუსეთისა. თუ რომ დამარცხდით, თქვენთან ერთად სამშობლო თქვენი და იღუპება. ნუ მისცემთ თქვენი მხედრული წოდების დამცირების ნებას, დაიცავით პატივი და სახელი მხედრული სულისა! თავისუფლების წინაშე ყველა თანასწორია. ამ მძიმე მომენტში დროებითმა მთავრობამ თა-[illegible] სადავეები და ასე ეჭირება, ვიდრე საჭირო იქნება ხალხის მოვლა დაპატრონობა. ამ საბედისწერო წუთებში ნუ ჩამოჰშორდებით დღეს. განსცდის დღეები ახლოვდება!

ხელს აწერს სამხედრო და საზღვაო მინისტრი ა. გუჩკოვი.

## რევოლიუციის დღიური

27 თებერვალი

27 თებერვალს უკვე ცხადი გახდა, რომ რევოლუცია იმარჯვებს. მთელი პეტროგრადი ხალხის ხელში იყო. ყველაზე წინ ი. გ. შჩეგლოვიტოვი დაატუსაღეს.

27 თებერვალს ხალხმა იერიშით აიღო თოფხანა, საარტილერიო სამმართველო „კრესტი“, პეტრეპავლეს ციხე, წინასწარ დასატუსაღებელი სახლი, საიდუმლო პოლიციის და პოლიციის განყოფილებანი და სხვა ასეთი დაწესებულებანი.

ამავე დღეს შესდგა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომელმაც მოქალაქეთ მოწოდებით მიჰმართა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ რაკი დაინახა რევოლიუციის გამარჯვება და მეფის ყოყმანი, მყის თანამდებობიდან გადადგა.

28 თებერვალი.

28 თებერვალს მთელი ქალაქი რევოლიუციონურ ხალხის გამგეობაში იყო. მხოლოდ სახლებში და სახლის სახურავებზე ჩასაფრებული ჟანდარმები და პოლიციელები უიარაღო ხალხს ესროდნენ და ჰხოცავდნენ. ასეთი სახლები ხალხმა იერიშით აიღო და დამნაშავენი დაატუსაღა.

ამავე დღეს გამოვიდა აღმასრულებელ კომიტეტის მოწოდება. სათათბიროში სრულის შემადგენლობით გამოცხადდენ მიხეილის საარტილერიო სასწავლებელი, პრეობრაჟენსკისა, მე-9 ცხენოსანთა და სხვა პოლკები. მათ სიტყვით მიესალმნენ როძიანკო, კერენსკი, მილიუკოვი და სხვანი.

სათათბიროში თანდათან მოჰყავდათ დატუსაღებული ძველი მინისტრები, სამსახურიდან გადამდგარი დიდი მოხელენი, პოლიციელები და ჟანდარმები.

ქალაქში წესიერების დაცვა აღმასრულებელმა კომიტეტმა ქალაქის გამგეობის წევრს კრიჟანოვსკის მიანდო.

სატახტო ქალაქში რომ ასეთი ამბები ტრიალებდა და რევოლიუციის ქარცეცხლი მოედო, ნიკოლოზი სდუმდა, როძიანკო, ბრუსილოვი და რუზსკი პასუხის ღირსად არ გაჰხადა. 28 თებერვალსვე აირჩიეს მინისტრის უფლებებით აღჭურვილი კომისარები. ამავე დღეს დაემხო ძველი მთავრობის ბურჯი საადმირალო, რომელსაც იცავდა იზმაილოვცების 3 როტა, სადაც იმალებოდა რამდენიმე მინისტრი.

ღამე სახელმწ. სათათბიროში გამოცხადდა პროტოპოპოვი, რომელიც იქვე დაატუსაღეს.

რუსეთის ყველა კუთხიდან სათათბიროს ცნობები მისდიოდა, რომ ხალხი რევოლიუციას მიემხრო. გარეუბნებიდან დაიძრა ჯარი და რევოლუციას მიემხრო.

1 მარტი

1 მარტს მოსკოვმა და ხარკოვმა აღმასრულებელი კომიტეტი მთავრობის უფლება-მოსილობით აღჭურვილად აღიარეს.

საფრანგეთისა და ინგლისის ელჩებმა აცნობეს როძიანკოს, დროებით კომიტეტთან ჩვენი მთავრობის სახელით საქმიან დამოკიდებულებას ვიქონიებთო.

იმავე დღეს მეფის ამალა რევოლუციას მიემხრო. ჯარისა და ფლოტის დარბაზში რამდენიმე ასმა აფიცერმა დროებითს მთავრობას მორჩილება გამოუცხადა. დიდი მთავარი კირილე ვლადიმირის ძე მთელის ფლოტით რევოლუციას მიემხრო. პეტროგრადში რევოლუციის ჩასახრჩობად მისული ჯარი რევოლუციას მიემხრო.

ნიკოლოზ რომანოვისაგან კი ჯერ ჩამი ჩუმი არაფერი იყო. მან ოჯახიც კი მიატოვა და თავს უშველა.

1 მარტს ჯარმა მეფის სასახლე დაიჭირა. დედოფალი როძიანკოს შეევედრა, ზომები მიიღეთ ჩემს და მემკვიდრის დასაფარავადაო. ამ საქმისათვის ცარსკოე სელოში გაგზავნეს დეპუტატები დემიდოვი და სტეპანოვი.

ამავე დღეს რევოლუციონერმა ჯარმა საზამთრო სასახლე დაიჭირა და რევოლიუციისათვის საშიში პირნი დაატუსაღა.

პეტროგრადის კომენდანტად დაინიშნა დეპუტატი პოლკოვნიკი ენგელგარტი.

კრონშტატის სიმაგრე, მისი ჯარი და ფლოტი ხალხს მიემხრო.

2 მარტი.

2 მარტს დროებითი მთავრობა შესდგა თ-დ გ. ე. ლვოვის თავმჯდომარეობით.

მთელი რუსეთიდან დეპეშა-დეპეშაზე მოდის, ხალხი რევოლუციას უერთდებაო.

3 მარტი.

3 მარტს ახალმა მთავრობამ თავისი სამოქმედო გეგმა გამოაქვეყნა, რვა მუხლისაგან შემდგარი, სადაც მინისტრთა მოქმედების ძირითადი მუხლები იყო აღნიშნული.

სამართლის მინისტრმა კერენსკიმ ბრძანება გასცა, დატუსაღებული სოციალდემოკრატები გაენთავისუფლებინათ.

დაწესდა სასურსათო კომისია რუსეთის სასურსათო საქმის მოსაწესრიგებლად.

დაატუსაღეს ფინეთის გენერ.-გუბერნ. ზეინი, რომელიც ფინლანდიის აჯანყების ჩაქრობას სცდილობდა.

ნიკოლოზ რომანოვი კი დამნაშავესავით ემალებოდა სამართალს, ხალხს გაურბოდა. იგი თავისი ბანაკიდან გამოეშურა აშკარა განზრახვით, რომ

თავის ერთგულ ჯარს სათავეში ჩასდგომოდა და რევოლუცია სათავეშივე ჩაეხჩო. ნიკოლოზმა მხოლოდ პსკოვამდე მოახერხა მისვლა, სადაც დროებითი მთავრობის განკარგულებით მისი მატარებელი გააჩერეს.

2 მარტს ნიკოლოზ რომანოვს ტახტიდან გადადგომის აქტზე ხელი მოაწერინეს. ტახტი მიხეილ ალექსანდრეს ძეს დაულოცა, მაგრამ ამანაც უარი სთქვა მის მიღებაზე, სანამ დამფუძნებელი კრება არ გადასწყვეტს მართვა-გამგეობის წესს.

2 მარტს საორგანიზაციო მუშაობა გაჩაღდა და რუსეთის დიდი რევოლუციის პირველი ნაბიჯი დასრულდა.

## დეპეშები

### სენატორები და ემიგრანტები

**პეტროგრადი**, 8 მარტი. მინისტრთა საბჭომ დაადგინა გამოეცხადოს სენატორებს, რომ მათ, ვისაც უმაღლესი სწავლა-განათლება არ მიუღიათ, პირველ მაისამდინ შემოიტანონ თხოვნა სამსახურიდან გასვლის შესახებ.

მინისტრთა საბჭომვე გადასწყვიტა განთავისუფლებულ ემიგრანტებს დაურიგოს საგზაო ფული, ვინც კი მოისურვებს რუსეთში დაბრუნებას. ამასთანავე საზღვარ-გარეთის სახელმწიფოთა მმართველობას ეუწყა, ემიგრანტებს ნუ შეგვიწუხებთ დოკუმენტების მოთხოვნითაო.

მთელი რუსეთის ხალხთა თავისუფლების პარტიების კრება მოხდება პეტროგრადში 25 მარტს.

გამოირკვა, რომ ყოფილმა სამხედრო მინისტრმა ბელიაევმა, რაწამს შეიტყო ხალხის გამარჯვება, უმალვე დასწვა ყველა საბუთები და საგულისხმიერო მოხსენებანი, სამინისტროში შედგენილ მოსპობილ საბუთებს აღადგენენ სიებიდან და შავად ნაწერის ქაღალდებიდან.

მიმდინარე კითხვათა გასარკვევად ახალ მთავრობის დადგენილებით შესდგა ბიურო, რომელშიაც შედიან აჯემოვი, კოკოშკინი, ლაზარევსკი, მაკლაკოვი და ბარონი ნოლდე.

მღვდლებმა დეპუტატებმა სთხოვეს აღმასრულებელს კომიტეტს, ნება მოგვეცით რევოლიუციის მსხვერპლთა დაკრძალვის დღეს შევიმოსოთ და პროცესიაში მონაწილეობა მივიღოთო.

**ვაშინგტონი**, 8 მარტი. შეერთებულმა შტატებმა ნდობა გამოუცხადეს რუსეთის ახალს მთავრობას.

### კერენსკი მოსკოვში

**მოსკოვი**. 8 მარტი. სადგურზე ა. კერენსკის აუარებელი ხალხი დახვდა, სხვა და სხვა წრისა და დაწესებულების წარმომადგენელნი. რკინის გზის მუშათა წარმომადგენელმა მინისტრს ამხანაგი უწოდა. კერენსკიმ გადაჰკოცნა. სადგურიდან კერენსკი გაემართა მუშათა დეპუტატების საბჭოში. დღისით მინისტრმა დაათვალიერა სასამართლოს შენობა, სადაც მას ელოდნენ ვექილთა წარმომადგენლები. კერენსკიმ უპასუხა: „მოგესალმებით ამხანაგებო, რომელთაც უკანასკნელ წუთებამდე არ უღალატეთ თქვენს მოვალეობას". შემდეგ ილაპარაკა ქალ-იურისტთა მომავალ ბედზე, ბოლოს პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლების შესახებ, რომელთა ნივთიერ დახმარებისთვის 500 ათასი მანეთია გადადებულიო. ყოფილ მეფის ბედის შესახებ კერენსკიმ უპასუხა: ტახტიდან ჩამო[...]ენებული მეფე ამ ჟამად გენერალ-პროკურორის ხელში იმყოფება". შემდეგ მინისტრი გაემართა ოფიცერთა და ჯარისკაცთა საბჭოში, სადაც სთქვა: „ჩვენ უნდა ვაჩვენოთ ფლოტისა და არმიის სოლიდარობა და რკინის დისციპლინა სამშობლოს წინაშე მოვალეობის მოსახდელად. საჭიროა ნებისყოფისა და სიბრძნის უდიდესი ძალღონის მოკრება, რომ საქმე მოვაწესრიგოთ. თქვენი აღგზნებული სურვილები ახდენილია. გაუმარჯოს რუსეთის არმიას, რომელიც ამ საბედისწერო მომენტში სამშობლოს მხსნელად გამოვიდა. ძველი დინასტიისგან არავითარი საფრთხე არ გველის. დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ამ ჯერად ძველს მთავრობას არ დავუთმობთ. ხმებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. მე დროებითი მთავრობა გამოაქვეყნებს თავის განცხადებას დინასტიის შესახებ".. ერთგან კიდევ განაცხადა: უახლოეს მომავალში გამოვცემთ სესხს, რომელსაც ეწოდება „თავისუფალ რუსეთის ახალი სესხი". ქალთა შეკრებაზე სთქვა: „მე სრული მომხრე ვარ ქალთა უფლების გათანასწორებისაო."

### ფიცის ფორმა

**პეტროგრადი**, 8 მარტი დროებითმა მთავრობამ ფიცის შემდეგი ფორმა დაადგინა:

ვფიცავ ოფიცრის (ჯარისკაცის), მოქალაქის სახელს, ღვთისა და ჩემის სინიდისის წინაშე აღვთქვამ ვიყო ერთგული და შეურყეველი თავგამოდებული რუსეთის სახელმწიფოსთვის. ვფიცავ ვემსახურო მას უკანასკნელ სისხლის წვეთამდი, ყოველმხრივ ხელი შევუწყო რუსეთის სამეფოს დიდებას და აღყვავებას. მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს დავემორჩილო დროებითს მთავრობას, ვიდრე ხალხის სურვილით არ დამყარდება სხვა გვარი წესწყობილება დამფუძნებელ კრების მეოხებით. დაკისრებულ სამსახურს შევასრულებ მთელის ჩემის ძალღონით სიცოცხლის დაუზოგველად და ზრახვა ჩემი მიმართული იქნება მხოლოდ სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის. ვფიცავ დავემორჩილო ყველა განწესებულ ჩემს უფროსებს, რათა მათს განკარგულებას ყოველს შემთხვევაში დავემორჩილო, როდესაც მას მოითხოვს ოფიცრის (ჯარის კაცის) მოვალეობა, არ დავარღვიო ჩემი ფიცი არცა ანგარებისა, არცა ნათესაობისა, არცა მეგობრობისა და არცა მტრობისა გამო. პირჯვარს ვიწერ და ხელს ვაწერ.

### ადმირალ კარცევის დაჭრა

**პეტროგრადი**, 8 მარტი. დაპატიმრებული კარცევი ნერვებით აშლილავად გახდა, მიჰვარდა დარაჯს და შეეცადა ხელიდან თოფი წაერთმია. დარაჯმა კარცევი ხიშტით ზურგში დასჭრა. დაჭრილი ელენეს კლინიკაში წაიყვანეს.

### დელეგაცია კავკასიაში

**პეტროგრადი**, 8 მარტი. დღეს კავკასიაში გამოემართა აღმასრულებელ კომიტეტის დელეგაცია კავკასიაში წესიერების აღსადგენად და ახალ წესწყობილების განსამტკიცებლად. დელეგატებად ჩაირიცხნენ: სახელმწიფო სათათბიროს წევრი ხარლამოვი, დეპუტატები პაპაჯანოვი და ჯაფაროვი, თავადი კიტა აბაშიძე და ნაფიცი ვექილი პერევერზოვი.

### მეფის მომხრეთა დაპატიმრება

**პეტროგრადი**, 8 მარ. ცარსკოე სელოში დააპატიმრეს: ობერ ჰოფმეისტერი ბენკენდორფი და გრაფი აპრაქსინი.

### რესპუბლიკელთა კავშირი

**პეტროგრადი**, 8 მარ. რესპუბლიკის მომხრე ოფიცერთა კრება მოხდა, რომელთაც მიზნად დაისახეს დაადგინონ კავშირი დემოკრატიულ რესპუბლიკის დასაარსებლად. კავშირის მიზანია: თავისუფლების დაცვა, [...] რესპუბლიკანურ იდეებისა არმიაში. კავშირის დამფუძნებელნი არიან ოფიცრობა, ექიმები და სამხედრო მოხელენი.

### მემარჯვენე გაზეთები

ბეჭდვითი საქმის კომისარად დანიშნულმა დეპუტატმა გრაფმა კაპნისტმა მეორემ აღმოაჩინა, რომ მემარჯვენე გაზეთებს უკანასკნელ დღემდე მთავრობის ფონდიდან სუბსიდიები ეძლეოდათ.

### ნოვიკოვის დაპატიმრება

სასახლის ნაკომენდანტარი ნოვიკოვი შეიპყრეს და თავრიდის სასახლეში დააპატიმრეს.

### სპირიდონოვას განთავისუფლება

სამართლის მინისტრის განკარგულებით ციხეებიდან და კატორღიდან ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლთ ანთავისუფლებენ. მათ შორის განთავისუფლეს ქ-ნი სპირიდონოვი. ხალხი აღფრთოვანებით ეგებება ხალხისათვის თავგადადებულ წამებულთ.

### ინგლისის შიში

ინგლისური გაზეთები პეტროგრადის ამბების გამო საგონებელს მისცემიან. ეფიქრებათ, რომ ამ მოძრაობამ ომის მარჯვეთ განგრძობას ხელი არ შეუშალოს.

### ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის ელჩების განცხადება

**პეტროგრადი**. ამერიკის შეერთებულ შტატების ელჩმა ოფიციალურად აუწყა გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ იგი კანონიერად აღიარებს დროებითს მთავრობას და სთხოვა დაენიშნა დრო საელჩოს მთელის შემადგენლობის მიღებისათვის. ამნაირივე განცხადება მთავრობის კანონიერად ცნობისა აღიარეს: ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის ელჩებმა.

### სიტყვა გენერალ ევერტისა

**პეტროგრადი**, 8 მარტი. სიტყვა დასავლეთ ფრონტის მთავარ სარდლის გენერალ ევერტისა, წარმოთქმული 6 მარტს მინსკში ჯარის წინაშე: ძნელ წამებს განიცდის ჩვენი ძვირფასი სამშობლო. ორ წელიწად ნახევარია, რაც განუწყვეტლივ სისხლსა ვღვრით და ვებრძვით რუსეთის უბოროტეს მტერს. ამ ბრძოლას ბოლო ჯერ კიდევ არ უჩანს. და აი ამ თავგანწირულ ბრძოლის დროს ჩვენმა ახალმა სახალხო მთავრობამ უნდა გაჰკეთოს უუმძიმესი და პასუხსაგებელი საქმე—დაამყაროს ახალი სახელმწიფო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი საორგანიზაციო კომიტეტი მოთავსებულია ახალქართულ განკის შენობაში, ლორის-მელიქის ქუჩა. ვისაც საორგანიზაციო საქმეები აქვს, პირდაპირ იქ უნდა მიმართოს

დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოთი — 5 — 9-მდე. შემოწირულებას მიიღებ როგორც აქ, ისე „საქართველოს" რედაქციაშიაც.

მართვა-გამგეობა, რომელმაც ნს სამშობლოს უნდა მიანიჭოს ბედნიერება და თავისუფლება. მე მწამს, რომ, ღვთის შეწევნით, ახალი მთავრობა, რომელიც ხალხის მიერ რჩეულთაგან შესდგება, პირნათლად დაუძლევება ამ მძიმსა და დიადს საქმეს, და ჩვენც ყოველის ღონისძიებით თავარი უნდა დავუჭიროთ. მთავარი ჩი ფრონტზე მყოფ ჯარისა ის არის, რომ ებრძოლოს მტერს ჩვენის მიწა-წყლის დასაცველად. ოფიცერნო და ჯარისკაცნო, მე თქვენ მოგმართავთ ყველას, ძველებურად მოგიწოდებთ წმინდა უ[...]სთვის, მშობლიურ მიწისთვის სიცოცხლე არ დაზოგოთ და მიანიჭოთ მას სასურველი გამარჯვება ბედნიერებისა და რუსეთის დიდებისათვის, ახალ მთავრობისათვის, მტერზე გამარჯვებისათვის, ოფიცერთა გულითვის, ჯარის კაცთათვის (ჯარმა იქუხა „ვაშა"!). ქალაქ მინსკის მოქალაქენი და ლაშქარი დასავლეთ ფრონტისა გილოცავთ ახალ სახელმწიფოს წესწყობილებას და ახალ მთავრობას. მრწამს გულითადებით, რომ სამშობლოს ისინი ბრწყინვალე ბედნიერებას მიანიჭებენ ქვეყანას, ამიტომ საჭიროა, რომ ჩვენ ყველანი შევეთვისოთ წმინდის გულით და სამშობლოს სიყვარულით, უფრო მეტის სიყვარულით, ვიდრე ჩვენ ჩვენი თავი გვიყვარს. დავეხმაროთ ახალ მთავრობას სახელმწიფოს გარდაქმნასა და ახალ წესწყობილებას დამყარებაში. სამშობლო ამას ჩვენგან ისევე მოითხოვს, როგორც მოითხოვს ჯარისაგან. სამშობლო ელის გამარჯვებას. გაუმარჯოს [...] ახალ მთავრობას.

### ნაიმპერატორალ ნიკოლოზ რომანოვის და მის მეუღლის დატუსაღება

**პეტროგრადი**. ოფიციალი. 9 მარტს დილის სხდომაზე, ახალმა დროებითმა მთავრობამ, ერთხმად დაადგინა: სამეფო ტახტიდან გადამდგარი ნახელმწიფარი ნიკოლოზ რომანოვი და მისი მეუღლე დააპატიმრონ. ამ დადგენილების განხორციელება, ალექსანდრა თეოდორეს ასულის შესახებ მიენდო პეტროგრადის სამხედრო ოლქის უფროსს ღენერალ კორნილოვს; ნაიმპერატორალ ნიკოლოზ რომანოვის დაპატიმრება კი მიენდო მთავრობის და სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელ კომიტეტის წევრებს: ბუბლიკოვს, გრიბუნინს, ვერშინინს და კალინინს, რომელთაც მიიღეს შესაფერი დოკუმენტი აღმასრულებელ სახელმწიფო სათათბიროს კომიტეტისაგან და ბრძანება დროებითი მთავრობისაგან. 7 მარტს, საღამოს 11 საათზე, კომისარები სასწრაფო მატარებლით გაემგზავრნენ ქ. მოგილიოვში, სადაც იმ ჟამად იმყოფებოდა ტახტიდან გადამდგარი მეფე ნიკოლოზი. ნაშუადღევის 3 საათზე კომისარები მივიდნენ მოგილიოვში. ბუბლიკოვმა წარუდგინა გენერალ ალექსეევს დროებითის მთავრობის ბრძანება, ნიკოლოზის დატუსაღების შესახებ. ალექსეევთან ლაპარაკით, კომისარებმა ის შთაბეჭდილება გამოიტანეს, რომ მათ უკვე იცოდნენ მთავრობის განკარგულებაო. ალექსეევმა მოახსენა კომისარებს, რომ მატარებელი წასასვლელად უკვე მზად არისო და ელის განკარგულებას. ყველანი გაემგზავრნენ სადგურზე. ალექსეევმა მოახსენა ნაიმპერატორალს დროებითი მთავრობის ბრძანება. ამ დროს, ნიკოლოზი და მისი დედა მარიამ თეოდორეს ასული საუზმობდნენ. კომისარების... ბრძანებით მიცემულ იქმნა 10 ჯარის კაცი რკინის გზის ბატალიონისა, უნტერ-ოფიცერის მეთაურობით, რომელნიც გარს შემოერტყნენ ხელმწიფის ვაგონს. დატუსაღებულ ნიკოლოზის გასტუმრება დაინიშნა ნაშუადღევის 4 საათზე. როცა ყველაფერი მზად იყო, ნიკოლოზი, გამოეთხოვა თავის დედას. კომისარებსა სთხოვეს მათთან ვაგონში შესვლა, მაგრამ მათ უარი განაცხადეს და თავიანთ ვაგონში შევიდნენ. ნახელმწიფარის ამალის ვაგონში დაიჭირეს ალაგი: გენერალ-მაიორმა დოლგორუკოვმა, გენერალ-მაიორმა ნარიშკინმა, ჰერცოგმა ლეიხტენბერგელმა, პოლკოვნიკმა მორდვინოვმა, ლეიბ-ხირურგმა ფეოდოროვმა. 4 ს. და 50 წ. დაიძრა ნახელმწიფარის მატარებელი: სამარისებური სიჩუმე სუფევდა, ხალხი სალამს აძლევდა მხოლოდ კომისრებს, რომელნიც უკანასკნელ ვაგონზე იყვნენ მოთავსებულნი და ფანჯრებიდან იყურებოდნენ. მატარებელი მოვიდა ცარსკოე სელოში 11 ს. და 30 წ. სადგურზე დახვდა გარნიზონის უფროსი, სადგურის უფროსი და სხვა და სხვა დაწესებულებათა უფროსნი. ხელმწიფესთან დახლოვებულ პირთაგან არავინ დასწრებია.

კომისარები გამოვიდნენ ვაგონიდან და ჰკითხეს უფროსებს: აქვს თუ არა მათ დროებითი მთავრობისაგან მიღებული ინსტრუქცია, რომ მათს განკარგულებაში გადმოვცეთ ტახტიდან გადამდგარი ნიკოლოზიო? ცარსკოე სელოს გარნიზონის უფროსმა და სხვა უფროსებმა მოახსენეს, რომ გვაქვს მიღებული შესაფერისი ინსტრუქციები მთავრობისაგანაო და ეს ინსტრუქციები მივიღეთ პეტროგრადის გარნიზონის უფროსისაგანაო. კომისარებმა თავიანთი მინდობილება შესრულებულად აღიარეს და გაემართნენ პეტროგრადში.

კომისარების წასვლამდე, ნახელმწიფარი ნიკოლოზი, უფროსების თანხლებით, ავტომობილით გაემგზავრა სასახლეში.

**ტამბოვი**. საჭირო ქალაქლდების მო[...] ჟანდარმთა უფროსი გენერალი ვოლკოვი და მისი თანაშემწე პოდპოლკოვნიკი ვიჩისლავოვი.

## ბრძოლის ველზე

რუსეთის რევოლუცია, უეჭველია, არსებით გავლენას მოახდენს ბრძოლის ასპარეზზე. შეიძლება ისიც ითქვას, რომ საძირკვლიანად შესცვლის სტრატეგიულ გეგმას ორივე მოპირდაპირისას. უფრო გერმანიის მთავრობა შეეცდება გამოიყენოს მისთვის მოულოდნელი რუსეთის სახელმწიფო ცვლილება. რაც უნდა იყვეს, ჯარში დისციპლინა ახლა უსაშიშოდ გატყდება. ყოვლად შეუძლებელია ვიფიქროთ, ვითომ რევოლუციონური აღფრთოვანება ისეთი ერთსულოვანი იქნება, რომ მთელ ჯარს უფრო შეაკავშირებს და უფრო განამტკიცებს მასში მოვალეობის აღსრულებას. ჯერ-ჯერობით, მართლაც, დროებით შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ რაკი აღფრთოვანების ქარიშხალი გაივლის, არ შეიძლება წვრილმა, დაბალმა გრძნობებმა თავი არ იჩინონ და შესაფერისი გავლენაც არ მოახდინონ საერთო მდგომარეობაზედ. რაც უნდა იყვეს რუსი ადამიანი ასე ადვილად ვერ მოინელებს ისეთ დიად მომენტს, როგორიც არის მთელი სამეფო დინასტიის გაუქმება და მეფე ნიკოლოზის გადადგომა. ყველაფერს, უეჭველად, ანგარიშს გაუწევს გერმანეთი. და, როგორც გუშინ ცნობები მოვიდა, თითქოს კიდევაც შესდგომია თავის განზრახვის აღსრულებას.

მკითხველებს უკვე ეცოდინებათ, რომ გერმანეთის მხედრობა დასავლეთ ასპარეზზე მარჯვენა ფრთით უკან იხევს. მათ უკვე საკმაო ალაგი დასტოვეს და ახლა განაგრძობენ დახევას. ფრანგები და ინგლისელები პირდაპირ გულახდილად აღიარებენ, რომ გერმანეთი წინასწარ გადაწყვეტილ გეგმას ახორციელებს. ყოვლად შეუძლებელია დამარცხებაზე ვილაპარაკოთ მაშინ, როდესაც უშველებელ ბრძოლის ველზე მოპირდაპირე უკან ისე მიდის, რომ ტყვეებსა და იარაღს სრულებით არ სტოვებს. აშკარაა გერმანელები ცდილობენ მოღალონ მოკავშირენი, ინიციატივის უნარი დაუკარგონ, თუნდაც ამისთვის დაპყრობილ ადგილებზე ხელის აღება დასჭირდესთ. რაკი ამ მიზანს მიაღწევენ, მაშინ მთელის თავისის ძალით რუსეთისაკენ იბრუნებენ პირს და შეეცდებიან პირდაპირ პეტროგრადისაკენ გაილაშქრონ. მათ იმის იმედიც ექნებათ, რომ რეაქციონერთა ბანაკი დიდათ მოეხმარება და სამსახურს გაუწევს. ოფიციალ დეპეშის გადმოცემით, რიგა-დვინის ხაზზე გერმანელთ იერიში მოუტანიათ და სანგრები დაუპყრიათ. ახალი სამხედრო მინისტრი გუჩკოვი ნათლად ხედავს საფრთხეს და მოუწოდებს ჯარსა და ხალხს შეკავშირდნენ და მტერს მედგრად დახვდნენ.

X.

## ომის დეპეშები

### მთავარ ბანაკის ცნობა.

**პეტროგრადი**. დასავლეთის ასპარეზი. ლიდის მიმართულებით, მდ. ბერეზინზე, სოფ. ზებერეზინას და პოტაშნიას მიდამოებში, ხანგრძლივ ზარბაზნების დაშენის შემდეგ, მოპირდაპირემ იერიშით აიღო ეს ადგილები. სამაგიერო იერიშით ს. პოტაშნიდან მტერი გავდევნეთ. დანარჩენი ადგილები მტრის ხელში დარჩა. ბროდის ჩრდილო-დასავლეთით, ზარბაზნების დაშენის შემდეგ, მოპირდაპირემ შემოგვიტია ბალდურის მიდამოებში, მაგრამ ცხარე ბრძოლის შემდეგ თავისს სანგრებშივე მივაბრუნეთ.

ტყვე ოფიცრის სიტყვით, გერმანელებს დიდი იმედი აქვთ, რომ რუსეთში მომხდარი ამბები რუსეთის ჯარის მებრძოლ უნარს დაჰფოლებს და დასცემსო.

**რუმინეთის ასპარეზი**. ფოქშანის მიმართულებით მოპირდაპირე საფრენების მოქმედებას აძლიერებს.

**კავკასიის ასპარეზი**. ჯევანრუდის და ბაღდადის მიმართულებით მტრის დევნას განვაგრძობთ.

დანარჩენ ბრძოლის ხაზზე მარჯვეთ სწარმოებს მტრის ზვერვა.

### გემების დაღუპვა

**მადრიდი**. ინგლისის სანაპიროებთან გერმანელების წყალქვეშა ნავებმა დაღუპეს ესპანიის ორი გემი, ზედ მყოფი ფრანგი მეზღვაურები გადაარჩინეს.

**ლონდონი**. სამიმბარო იტყობინება: ორი გამანადგურებელი ნაღმოსანი ნაღმს წააწყდა და დაიღუპა. ერთზე ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა, მეორე გემიდან კი 14 კაცი უკვალოდ დაიღუპა.

### ამერიკა

**ვაშინგტონი**. უილსონმა 20 მარტისათვის დანიშნა კონგრესის საგანგებო კრება.

### იტალიის ფრონტი

**რომი**. 8 მარტი. ოფიციალი. ტრენტინოს ფრონტზე არტილერიის ბრძოლა გაცხოველდა. კოსტომელასა, სანტო-პელეგრინოსა და ავიზიდის მიდამოებში გამწვავებულ სროლის შემდეგ მოწინააღმდეგემ რამდენჯერმე იერიში მოიტანა ჩვენ წინა პოზიციებზე, მაგრამ უკუგდებულ იქმნა დიდის ზარალით. იულიის ფრონტზე ჩვეულებრივი არტილერიის ბრძოლა.

### საფრანგეთის ფრონტი

**პარიზი**, 8 მარტი. ოფიციალი. მდ. სომასა და უაზის შორის ჩვენმა ჯარმა სომ დან ჩრდილოეთით იერიშებით დაიპყრო წართმეული ადგილები. ჩვენი არტილერია მჭევრავებს სდევნიდა, მიუახლოვდა სენკანტენს დაახლოვებით 7 კილომეტრით. მონიდან ჩრდილოაღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა დღის განმავლობაში დაიჭირა ტერნიე და გადავიდა სანკანგენის არხზე. მოწინააღმდეგესთან რამდენისამე ცხარე შეტაკების შემდეგ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. მოწინააღმდეგის უკან დევნის დროს, რომელიც რამდენსამე დღეს გაგრძელდა, ჩვენ უმნიშვნელო ზარალი მოგვივიდა. როდესაც დაბრუნებულ ადგილებზე გადავდიოდით, ვხედავდით გერმანელების ბარბაროსობას. გერმანელებს რაც კი დაინგრიათ, არავითარი სამხედრო მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენმა მფრინავებმა შეგვატყობინეს, სუსის ისტორიული ნაშთი დანგრეულიაო. თან წაუყვანიათ 50 ქალი 15—20 წლისები. დანარჩენ ფრონტზე შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა.

## უკანასკნელი ცნობები

კერენსკიმ მოსკოვში განაცხადა, რომ ნახელმწიფარს ჩემის ზედამხედველობით გემში ჩავსვამ და ინგლისში გავისტუმრებო.

—

ინგლისის პრესის აზრით, ახალ მთავრობის დამკვიდრება ცოტად თუ ბევრად დამოკიდებულია ფრონტზე მყოფ ჯარზე. ჯარმა უნდა დაიცვას სასტიკი დისციპლინა და დაეყრდნოს ისეთ მთავარსარდლებს, როგორნიც არიან რუზსკი, ალექსეევი და ბრუსილოვი. ესენი კონსტიტუციონალისტები არიან. რუსეთის დიდი მისწრაფება უნდა განახორციელდეს მოფიქრებით და [...]. ამ მიზნის განხორციელებაზეა დამოკიდებული ომის ბედიცაო.

—

პეტროგრადის ბირჟაზე რევოლუციის სასარგებლოდ ნახევარ მილიონი მანეთი შეაგროვეს; თამბაქოს ქარხნებმა 200,000 მანათი.

—

როსტოვის ვაჭრებმა 200,000 მანეთი შესწირეს სარევოლუციო ორგანიზაციას.

—

გერმანელები საფრანგეთის ფრონტიდან უკან იხევენ და ამ დახევას იმით ხსნიან, რომ ჰინდენბურგმა ბრწყინვალედ გაიმარჯვაო. გერმანელები უკან იხევენ და ყველაფერს ანადგურებენ. საფრანგეთის ტერიტორია უდაბნოდ არის გადაქცეული.

—

დატყვევებული ნიკოლოზ რომანოვი ცარსკოე სელოში მიიყვანეს და ალექსანდრეს სასახლეში მოათავსეს.

—

დროებით მთავრობას გადაუწყვეტია, რომ მეფის საგვარეულოდან არც ერთი წევრი ჯართან არ მიუშვან, არც თვით დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეო.

—

კერენსკის მოსკოვში ხალხი აღტაცებით შეხვდა. მას უთქვამს, მე მოსკოვი ისე არ მაწუხებს, როგორც პეტროგრადიო. პეტროგრადში ჯავშნიანი ავტომობილები გამოიქროლებენ და მილიციონერებს ჰხოცავენ და ჰჭრებიან, მაგრამ პეტროგრადი როცა გაიგებს, რომ მთელს რუსეთში საზეიმო ამბავია, დაწყნარდებაო. სიკვდილით დასჯა მოიხსნება, დამფუძნებელ კრების მოწვევამდე მთავრობა ომის გათავებას არ აპირობსო. ეროვნებათა უფლების გათანასწორება დიდს შრომას ითხოვს, მაგრამ მაინც რამდენსამე დღეს დასრულდება. მოკლე ხანში გამოირკვევა საკითხები: საქართველოსი, სომხეთისა, პოლონეთისა და სხვათა. ნიკ. ნიკოლოზის ძეს დანიშვნა ძველის მთავრობისაგან მოხდა, მაგრამ ახალი მთავრობა მისი მთავარსარდლობის წინააღმდეგია. ნიკოლოზ რომანოვი, ეხლა ტყვედ არის. მას ინგლისში გავისტუმრებთო.

—

გუჩკოვმა მთავრობას მოახსენა, რომ [...] ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს მთავარ სარდლობა უნდა ჩამოართვან და რუზსკის გადასცენო.

## დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**მოსკოვი**. მოსკოვის ქართველთა ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაცია ესალმება ხალხის რევოლუციონურ მოძრაობას, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებამდე. ეს ორგანიზაცია ფიქრობს, რომ სამოქალაქო თავისუფლების განმტკიცებას უეჭველად უნდა მოჰყვეს პოლიტიკურ უფლებათა აღდგენა ავტონომიურ საქართველოსი, რომელიც რუსეთს 1783 წლის ტრაქტატის ძალით შეუერთდა. საქართველოს ავტონომიის კონსტიტუცია უნდა შეიმუშავოს თბილისის დამფუძნებელმა კრებამ. მორიგ პოლიტიკურ კითხვათა გადაწყვეტისათვის უნდა შეერთდნენ ყველა ქართული პარტიები, რომელთაც უნდა შეადგინონ ერთი საქართველოს ნაციონალური კომიტეტი.

ორგანიზაციის თავმჯდომარე
გრიგოლ ვეშაპელი.

## ახალი ამბავი

✦ სამადლობელი პარაკლისი. მცხეთის სვეტიცხოვლის საკათალიკოსო ტაძარში, კვირას, 12 მარტს, დანიშნულია საყოველთაო პარაკლისი სრულიად რუსეთის ახალ მთავრობის განმტკიცებისათვის და რუსეთის მხედრობის მტერთა ზედა გამარჯვებისათვის. წირვას და პარაკლისს შეასრულებენ ქართველნი მღვდელმთავარნი ქართველ სამღვდელოების თანამსახურებით. პარაკლისს დაესწრებიან: საქართველოს თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, ქართულ კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი, ქალაქის თავი, საქართველოს ყველა ეპარქიების სამღვდელოების წარმომადგენელნი და სხვანი. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. თბილისის ქართველ სამღვდელოებას წინადადება ეძლევა გამოცხადდეს მცხეთაში თავიანთ შესამოსლებით. ქალაქიდან მცხეთისაკენ გადის ორი მატარებელი: ა) „ხაშურის" სამგზავრო № 5, დილის 9 საათ. 10 წ.; ბ) № 9, დილის 11 საათ. 3 წ.—თბილისის დროთი.

◆ ბ-ნი ნიკო ელიავა, თავმჯდომარე საგუბერნიო სასურსათო კომიტეტისა, გუშინ ჩაიბარებდა წინანდელ სასურსათო საქმეების გამგის ბ-ნ მანდრიკასაგან სასურსათო საქმეებს და ნახევარ მილიონ მანეთს, სასურსათო თანხას.

◆ **კომისარიატის მოსვლა თბილისში.** თბილისში დეპეშა მოვიდა გ. ლვოვისა. იუწყება: თბილისში წამოვიდა კომისარიატი: ნაფიცი ვექილი პერევერზევი, სახ. სათათბ. დეპუტატები პაპაჯანოვი და ჯაფაროვი, ბ-ნი კიტა აბაშიძე და ხარლამოვი.

◆ **ებრაელთა კრება.** დღეს, სახალხო სახლში კრება ექნებათ ებრაელებს აღმასრულებელ კომიტეტში თავიანთი წარმომადგენლის დასასახელებლად.

◆ **ოსების კრება.** სახალხო სახლში ოსებს კრება ექნებათ დღეს, 4 საათზე, თანამედროვე ამბების გამო მოსალაპარაკებლად.

◆ **ბ-ნი რუდოლფი და აჭარის სკოლები.** მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ძველი წეს-წყობილება ძირიან-ფესვიანად გადაბრუნდა და დღეს საქმეების პატრონი სარევოლუციო მთავრობა არის, სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რუდოლფს, რომლის გადასაყენებლად ჯერ არ მოუცლია ხალხს, არ დავიწყნია ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მიერ დაარსებული სკოლები აჭარაში და მათ კიდევ კრიჭაში უდგას. 3 მარტის თარიღით ბ-ნ რუდოლფისაგან ქაღალდი მიიღო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ. ბ-ნი რუდოლფი თხოულობს, რომ საზოგადოებამ დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას აღნიშნულ სასწავლებლების სამოსწავლო გეგმა და მოწმობა ამ სკოლების მასწავლებელთა პოლიტიკურად საიმედობის შესახებ.

◆ **ქურდობა.** 5 მარტს იორის ქუჩაზე შერჩეული გასაღებით შეიპარნენ ხაჯი ოგანესიანცის მაღაზიაში და წაიღეს 785 მანეთის საქონელი. 5 მარტს მირკე მარგარიანცს საკუთარ ბინაზე მოჰპარეს 1500 მანეთი და 271 მანეთის ნივთეულობა. 6 მარტს შუა ბაზარში ქურდები, რიცხვით ცხრა, შეიპარნენ არშაკ ბალიაზოვის მაღაზიაში და წაიღეს 150000 მანეთის საქონელი. 7 მარტს ელისაბედის ქუჩაზე გაქურდეს კარაჯევის დუქანი და წაიღეს 2000 მანეთის საქონელი. 6 მარტს არგუტინსკის ქუჩაზე ანა სეფაროვის სახლიდან მოიპარეს 820 მანეთის ნივთეულობა.

◆ **დიდი დემონსტრაცია.** 10 მარტს, დილის 10—11 საათიდან, თბილისს განსაკუთრებული სიცხოველე ეტყობოდა. ამ დღეს თბილისის ყველა სასწავლებლების მოსწავლენი და მასწავლებლები ქუჩაში გამოვიდნენ მუსიკით, დროშებით და წითელ ბაირაღებით და ერევნის მოედნისაკენ დაიძრნენ. იქითკენვე გაეშურა სამხედრო მეავტომობილეთა კოლონა საუცხოვო დროშებით, რომლებზედაც წარწერილი იყო: „სიკვდილი გვირჩევნიან, ვინემ ძველს რეჟიმს დავემორჩილდეთ!“ ერევნის მოედანი ხალხით გაიჭედა და ორატორები რიგ-რიგად სიტყვას ამბობდნენ. ნაშუადღევის 2 საათზე მოედანზე გამოჩნდა ყაზახ ცხენოსანთა ჯარი და ხალხს შეუერთდა. ხალხის აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა. ერევნის მოედანი, გოლოვინის პროსპექტი და ახლო მახლო ქუჩები წითელ ბაირაღების ტყეს წარმოადგენდნენ. ერევნის მოედანზე მიტინგმა დიდხანს გასტანა და შემდეგ ხალხი დიდად მხიარული დაიშალა. წესიერება ყველგან სამაგალითო იყო.

◆ **ნიკოლოზ რომანოვი გაქცევას აპირებდა.** თბილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა დეპეშა მიიღო პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოსაგან, რომ ნიკოლოზ მეორე საზღვარ გარედ აპირებს გაპარვას და აცნობეთ თქვენს აგენტებს, საცა მოასწრონ, იქვე დაიჭირონ და დაუყოვნებლივ აცნობონ კომიტეტს პეტროგრადში, ტავრიდის სასახლეშიო. ასეთივე დეპეშები გაუგზავნია კომიტეტს რუსეთის სხვა ორგანიზაციების, რკინის გზებისა და კომისრებისათვის. დეპეშაზე ხელი უწერიათ კომიტეტის თავმჯდომარეს კ. ჩხეიძეს და თავმჯდომარის ამხანაგს ბ-ნ სკობელევს.

როცა ეს ამბავი იბეჭდებოდა, სააგენტოს დეპეშამ ცნობა მოიტანა, რომ ნიკოლოზ რომანოვი და მისი მეუღლე უკვე დაიჭირეს და პეტროგრადში მიიყვანესო.

◆ **კრება.** კოოპერატივების მოსამსახურეთ კრება ჰქონდათ 9 მარტს სახალხო სახლში მუშათა საბჭოში დელეგატის ასარჩევად. აირჩიეს ანდრ. რამიშვილი.

◆ **ტუსაღების განთავისუფლება.** ძველ რეჟიმის მსხვერპლნი, ეგრედ წოდებულნი, პოლიტიკური დამნაშავენი, თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილების თანახმად, სატუსაღოებიდან გაანთავისუფლეს.

◆ **თბილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა 10 მარტს:** 1) განთავისუფლებულ იქმნან თბილისის საგუბერნიო სატუსაღოდან პოლიტიკური „დამნაშავენი“ პ. გ. ბეჟიტაძე, ს. ჯაფარიძე, ო. ჩუბინიძე და ს. თავაძე, რომელნიც სისხლის სამართლის წესით არიან დასჯილნი; 2) განთავისუფლებულ იქმნან იმავე სატუსაღოდან კანონთა მე-23 მუხლის ძალით დატუსაღებულნი, რომელთა განთავისუფლებას აღმასრულებელ კომიტეტის საგანგებო კომისია შესაძლებლად სცნობს; 3) განთავისუფლებულ იქმნან იმავე სატუსაღოდან სექტანტი-ჯარისკაცნი, რომელნიც დასჯილნი არიან იმის გამო, რომ სამხედრო დისციპლინას არ დაემორჩილნენ თავიანთ რელიგიურ შეხედულობის მიზეზით. ამ დადგენილების შესრულებას პროკურატურის მიერ თვალყური უნდა ადევნონ აღმასრულებელ კომიტეტის საგანგებო კომისიის წევრებმა შ. მესხიშვილმა, ი. ბარათაშვილმა, ი. დოლუხანოვმა და ა. ერზიკიანმა.

◆ **თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს** დეპეშით მიმართეს თბილისის პოლიციელებმა: პოლიცმეისტრის თანაშემწემ, ფარული პოლიციის უფროსმა პრისტავ-აკალოდოჩნიკებმა და სხვ. და აღნიშნავენ, რომ ჩვენ დიდის თანაგრძნობით ვესალმებით დროებითს მთავრობას და აღმასრულებელ კომიტეტსაო. ძველი რეჟიმით ჩვენც ვიყავით დათრგუნვილნი და არ შეგვეძლო მის წინააღმდეგ მოქმედება, ახლა კი დიდი აღფრთოვანებით ვეგებებით ახალ წესწყობილებას და გთხოვთ ჩვენც შეგვიერთოთ ხალხის და თავისუფლებისთვის ბრძოლაში და ნუ წაგვართმევთ მოქალაქის უფლებებსო.

◆ **ახალი კლუბის წევრებს** 9 მარტს ჰქონდათ საზოგადო კრება სადაც დაადგინეს 1) გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშა დროებით მთავრობას და 2) გადაიდვას 10,000 მ. ქართულ პარტიების შეერთებულ კომიტეტებს ეროვნულ ორგანიზაციების მოსაწყობად.

◆ **თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს** ბევრი თანაგრძნობის და მისასალმებელი დეპეშები მოსდის. მოუვიდა დეპეშები, მაგალითად: კავკავიდან, ეკატერინოდარიდან, სოჩიდან და სხვა. მისალმების გარდა აღნიშნავენ, რომ ამ ქალაქებში შესდგა კომიტეტები მუშათა საბჭოს და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან: პოლიცია გადაყენებულია და დაიწყო კომიტეტის მუშაობა, აწესრიგებენ სასურსათო საქმესაო.

## ნიკოლოზ რომანოვი

„დენ“-ის თანამშრომელი ივანე ზნამენკი ასე ახასიათებს ნიკოლოზ რომანოვს: ნიკოლოზ მეორე, ხალხის თქმულებით უბედურ ვარსკვლავზე იყო დაბადებული. მას მერე, რაც ტახტის მემკვიდრეობის დროს იაპონიაში თავი ხმლით გაუჩეხეს, მაშინ ხმა დაირქვა, ერთმა ხირომანტმა ქალმა უბედურება უწინასწარმეტყველაო. მის ბედს საფრანგეთის უკანასკნელ მეფე ლიუდოვიკო მეთექვსმეტის ბედს ადარებდნენ. ნიკოლოზის გარშემო თავს იყრიდნენ ხირომანტები, მისტიკები, მკითხავები, ვარსკვლავთ-მრიცხველები.

ტახტზე ასვლის დღეს ნიკოლოზმა ფეხით გაიარა ქუჩაში, რამაც ხალხი აღტაცებაში მოიყვანა.

დიდი მთავრის მეუღლე მარიამ პავლეს ასული ასე ახასიათებდა ნიკოლოზ რომანოვს: „ამ პატარა კაცის მანტიის ყოველ ნაოჭში დიდი თვითმპყრობელი ზისო“. ნიკოლოზი მართლაც თითის წვერებამდე თვითმპყრობელობით იყო გაჟღენთილი. ხალხს და ინტელიგენციის დიდ ნაწილსაც ნიკოლოზი მიაჩნდა უნებისყოფო, უმწეო, სუსტ ადამიანად. ეს დიდი შეცდომა იყო. მართალია იგი დიდბუნებოვანი არ იყო, განათლება მეტად მცირე ჰქონდა, მსოფლმხედველობა მეტად ვიწრო, მაგრამ იგი ბუნებით დესპოტი იყო, მოშურნე, გაიძვერა და ორპირი.

ამ მხრივ ინგლისის მეფე კარლოს პირველს ჰგავდა, თუმცა კარლოსი გაცილებით უფრო განათლებული და ზრდილი იყო. ნიკოლოზის მინისტრები არარაობას წარმოადგენდნენ მხოლოდ იმის გამო კი არა, რომ იგი თვითონ ირჩევდა მათ არამედ იმისთვის, რომ მის სასახლეს ჰქირივით გაურბოდა ყველა ნიჭიერი, გონიერი და ძლიერი პიროვნება. ყველამ იცის რომ ნიკოლოზს, საშინლად სძულდა პ. ა. სტოლიპინი, როგორც ძლიერი პიროვნება, თუმცა მისგან დიდად დავალებული იყო.

ნიკოლოზი ნამდვილი აზიური მეფე იყო. სამარინი რომ გადააყენა, გამოთხოვების დროს გადაჰკოცნა; პოლივანოვი რომ მეფის ბანაკში მიიწვია, სადგურზე სუხომლინოვს მასხარად იგდებდა, ისე გგონია თითქოს სამსახურიდან გადაგაყენებო. ვიტტე სძულდა ნიკოლოზს განსაკუთრებით მას მერე, როდესაც 17 ოქტომბრისთვის წინა ღამეს ფეხის ბრახუნით დააშინა. მაშინ ნიკოლოზის დედოფლის თვალწინ განგებ ისტერიკა დაემართა. სასახლეში დაბრუნებისას ვიტტემ თავზე ხელი იტაცა, თურმე, გამძაგებით დარბოდა ოთახში და იძახოდა: „ამისთანა კაცთან საქმის დაჭერა!. ამისთანა კაცთან!“ ისტორია შეიტყობს, თუ რა მოახდინა ვიტემ“.

მის ცისფერ თვალებში არ კრთოდა არც სიყვარული, არც ალერსი. იგი ებლაუჭებოდა უფლებას კერპი ფანატიზმით. მისი სისტემა უნდობლობაზე იყო დამყარებული. ამისათვის, კანონიერ მთავრობის გარდა, გვერდიდან არ იშორებდა, ვარსკვლავთ-მრიცხველთ, მკითხავებს, ზე-მრჩეველთ. ასეთი იყო კლიუევი, რომელსაც ნიკოლოზი მთავრობის მოქმედებათა სარევიზიოდ ჰგზავნიდა ხოლმე. ასეთივე იქნებოდა დემინსკი—„ამინდის წინასწარმეტყველი“, რომელსაც სასახლის ვარსკვლავთმრიცხველის თანამდებობა არ ასცდებოდა, მისთვის რომ სუბსიდია არ დაენიშნათ ჟურნალის გამოსაცემად, რომელსაც „ამინდი“ ერქვა. ასეთი იყო ფილიპსი, თ-დი პუტიატინი და რასპუტინიც. ნიკოლოზის მართვა-გამგეობა სულთანის მართვა-გამგეობის წესს ემსგავსებოდა, სადაც ვეზირს მეთვალყურედ მიჩენილი ჰყავს სულთანის მეუღლე, მეუღლეს—საჭურისი, საჭურისს—სხვა ჯაშუში, ასე რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლებოდა ყველას გაულეტა.

## ჩამოვრეკოთ ზარი?

როგორ, რა გზით უნდა მოვახერხოთ, რომ საერთო სიხარულის ზარი ჩამოვრეკოთ?

ამ დიდებული წამის მისახწევად სრულიადაც არ კმარა, პრესის საშუალებით, გამოქვეყნება:

„ქართველებო, შეგნებულად, შეერთებულად, დინჯად!...“ საჭიროა ეს ლოზუნგი ხალხშიაც გავატაროთ.

საჭირია დაუღალავი, მედგარი მუშაობა! მთელი ერთი საუკუნე ქართველი ერი ხელ-ფეხ შებოჭილი იყო...

პირზე კლიტე ედო და ძველი, რუსეთის დახავსებული რეჟიმი არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა, რომ ჩვენში ჩაეკლა ყოველივე ეროვნული გრძნობა და თვითმოქმედების ინიციატივა გაექარწყლებინა...

ძველი რუსეთი სცდილობდა მთელი ქართველი ერის გადაგვარებას.

მთელი ერთი საუკუნე ქართველი ერი ატარებდა ძველი რუსეთის მონობის უღელს და აი გაისმა „ხალხთ-ბორკილის ხმა მტვრევისა“ და ჩვენც, ქართველებმა, თავისუფლად ამოვისუნთქეთ...

მაგრამ... ჩვენთვის, ქართველთათვის, მაინც „ზარი არ ჩამოირეკა“ და არც ჩამოირეკება, თუ ჩვენ, ამ დიდებულ წამს პრაქტიკულ მუშაობას არ შევუდგებით და ერთის დროშის ქვეშ არ მოუყრით თავს მთელ ქართველ ერს...

მწყობრი, შეგნებული დარაზმვაა საჭირო! როგორ, რანაირად უნდა შეერთდეს ქართველი ერი?

აი საკითხი, რომელიც დაუყონებლივ პასუხს და გადაწყვეტას თხოულობს...

ვიმეორებ, არავითარ ლოზუნგს, არავითარ კარგ აზრებს არავითარი გასავალი არ ექმნება, თუ მას არ ჩამოვაყალიბებთ, ღრმად არ გავუდგამთ ფესვებს ხალხში და თუ პრაქტიკულად არ განვახორციელებთ...

ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, დაუყოვნებლივ საჭიროა, ეხლავე დავაარსოთ ქართული ეროვნული ბიურო.

აქ, ამ ბიუროში უნდა მოიყაროს თავი იმ ქართველებმა, რომელთაც ჰსურთ, რომ საქართველოსათვისაც ჩამოირეკოს ზარი! ..

აქ, ამ ბიუროში, უნდა შემუშავდეს მოქმედების პროგრამა და ამ პროგრამის ცხოვრებაში გატარება!

მთელმა ქართველობამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს დედა ქალაქში არსებობს ქართველთა ეროვნული საბჭო და ყველას, ვისაც კი ჰსურს თავის ცოდნა, შრომა და წვლილი შეიტანოს—ერის განთავისუფლების საკურთხეველზე, უნდა მიეცეს საშუალება მიჰმართოს ამ ბიუროს და მიიღოს მისგან დირექტივები—ცხოვრებაში გასატარებლად...

აქ, საქართველოსი დედა ქალაქში უნდა დაარსდეს უმთავრესი ეროვნული საბჭო, დანარჩენ საქართველოს სხვა დ სხვა დაბა-ქალაქებში კი, განყოფილებანი.

მრავალსა სურს მუშაობა, მრავალნი ჩამოდიან პროვინციებიდან! მრავალს ჰსურს თავისი წვლილი შეიტანოს თავისუფლების საკურთხეველზე და არ იციან, სად მივიდნენ, ვის მიჰმართონ და რა გეგმით იმოქმედონ ქართველი ერის შესაერთებლად, რათა შეერთებულმა ქართველმა ერმა მძლავრად ჩამოჰრეკოს ზარი!.. ზარი საქართველოს ერის თავისუფლებისა!..

ჩვენს სატახტო ქალაქში, სომხებს აქვსთ საკუთარი ეროვნული ბიურო, სადაც გაჩაღებული აქვთ მწყობრი და მეთოდური ეროვნული მუშაობა და არ მესმის, არ გამეგება, რატომ არ უნდა გვქონდეს ჩვენ ქართველებს, საქართველო დედა-ქალაქში—ასეთივე ეროვნულ ბიურო?..

დროა, პრაქტიკულად შევაერთოთ ქართველი ერი! თამამათ, გაბედულათ გადავსდგათ ნაბიჯი—ეროვნული საბჭოს შექმნით და მაშინ—მრავალ ტანჯულ საქართველოსათვისაც—ჩამოირეკება ზარი! .

დღეს ჩვენ მოწმენი ვართ დიდებული რევოლიუციისა და ვიცით, რომ ახალი თავისუფალი რუსეთის შექმნისათვის შეერთდნენ უკიდურესი მემარჯვენენი და უკიდურესი მემარცხენენი!

კ. ჩხეიძე და როძიანკო; კერენსკი და ლვოვი—ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ერთად ეწევიან ქვაპან-წყვეტას თავისუფლების მოსაპოებლათ...

ქართველები ამ დიდებულ ისტორიულ წამს ნუ დავიქსაქსებით!

ყველა ქართველი, მიმართულების განურჩევლად, შევეერდეთ ერთ დროშის ქვეშ, რომელსაც ეწერება „ქართველი ერი“, დავაარსოთ ეროვნული საბჭო და ერთსულოვნად ავაფრიალოთ ქართველთა ერის თავისუფლების დროშა და მედგრათ ჩამოვრეკოთ ზარი, და მით ვაუწყოთ ყველას, რომ ქართველმა ერმა დაამტვრია მონობის ბორკილი დაააფრიალა თავისუფლების დროშა, თავისუფალ ქართველ ერისა...

თომა მაღაროელი.

## სალამი თავისუფალ ხალხს

სალამი თავისუფალ საქართველოს! მოგილოცავთ 27 თებერვლის დღესა, როდესაც აღსრულდა ძველის მთავრობის უკანასკნელი წუთები! გაუმარჯოს თავისუფლებას.

ამ თორმეტის წლის წინათ პირველათ გაისმა თავისუფლების ხმა, და გაიხმაურა კიდით-კიდე „გაუმარჯოს ერთობასო“.

მოკლე ხნისა იყო ეს „ერთობა“, მოკლე ხნისა იყო ეს თავისუფლება, იმიტომ, რომ რევოლიუცია ქვეიდან იყო დაწყებული. მხოლოდ ფეხები შემოამტვრიეს იმ მაჯლაჯუნას, რომელიც რუსეთის იმპერიას ობობასებ ზედ დასწოლოდა.

და ამ ობობას თავი ისევ ცოცხალი ჰქონდა და ეს მაჯლაჯუნა ისევ გადაფაფხებული იყო რუსეთის იმპერიაზედ. შემოიკრიბა ისევ ბნელი ძალები ამ მაჯლაჯუნამ და თორმეტი წელი მის ქვეშ რუსეთის იმპერია განიცდიდა ტანჯვა-ვაებას. საქართველოც იტანჯა დიდის ტანჯვითა და ამ რევოლიუციაში შეიტანა თავისი წვლილი.

დღეს ხელახლად თავისუფლების საათმა დაჰკრა, მაჯლაჯუნას თავი მოაგდებინეს, მისი გაუმაძღარი ლეში ძირს დაეცა და საცაა, უნდა იშვას რუსეთის რესპუბლიკა!

მაშ, ქართველებო, გაუმარჯოს რუსეთის რესპუბლიკას!

კერძოდ ჩვენ, ქართველები, რას უნდა მოველოდეთ ამ ახლად შექმნილ მთავრობისაგან?—სიტყვის თავისუფლებას და წვრილ-ერთეულ თვითმართველობას.

ჩვენთვის, საქართველოსათვის ეს არა კმარა და აი რატომ.

საქართველო, 1783 წლის ტრაქტატის ძალით, მეფე ერეკლემ შეუერთა იმპერატრიცა ეკატერინეს. აღიარებულ იქმნა საქართველოს პოლიტიკურ-ტერიტორიალური ავტონომია. მის მაგიერ, რომ დაცული ყოფილიყო ყოველივე პუნქტი ამ ტრაქტატისა რუსეთის მთავრობის მიერ, ამ უკანასკნელმა ამ ტრაქტატს არავითარი ანგარიში გაუწია და ძალმომრეობით საქართველო შეიერთა, როგორც უბრალო გუბერნია.

და აი ჩვენ, ქართველებმა, უნდა ვისარგებლოთ ამ მომენტით და მოვითხოვოთ საქართველოს პოლიტიკურ-ტერიტორიალური ავტონომია!

რა არის ეს ავტონომია, რომელსაც ასე უფრთხიან ზოგიერთნი ჩვენში? აი რა არის:

ას ჩვიდმეტი წელიწადია, საქართველო ხმა-ამოუღებლივ რუსის მთავრობის უსამართლო ძალმომრეობის მართვა-გამგეობას განიცდიდა.

ამიერიდან ეს აღარ იქნება, როდესაც დემოკრატიული ავტონომია მოგვენიჭება.

ასი წელიწადია, ჩვენ მშობლიურ დედა-ენაზედ არ გვალაპარაკებდნენ. სკოლებსა, დაწესებულებებსა, სასამართლოებში განდევნილი იყო ჩვენი საშობლო ენა.

ამიერიდან ეს აღარ უნდა იყოს!

ასი წელიწადია, ჩვენი ეკლესია რუსეთის სინოდის და მათი უსინდისო ეგზარხოსების ქვეშ სულსა ლევდა. საქართველოს უუშესანიშნავესნი ეკლესიანი, ცნობილნი სიმდიდრით, ძოწეულით. თვალ-მარგალიტით, სიგელ-გუჯრებით, სამეცნიერო და საეკლესიო წიგნებით გაძარცულ იქმნენ ვერაგ ეგზარხოსებისა და მთავრობის გაუმაძღარ მოხელეების მიერ.

რუსეთის ეგზარხოსებმა ქართველებს სარწმუნოება შეუგინეს, წაბილწეს, ქართველი სამღვდელოება გაჰრყვნეს, ხალხს სასოება დაუკარგეს. რუსეთის მთავრობამ კი მდიდარი მილიონიანი ქონება მიითვისა და ასი ათასი დესეტინა მამული სახაზინოთ შერიცხა.

და დღეს საქართველოს ეკლესია განადგურებულია და სული ოდნავღა უდგას.

ის ვნება და ზარალი საქართველოს ეკლესიისათვის არ მიუყენებიათ ორი ათასი წლის განმავლობაში თათრებს, სპარსელებს და ოსმალებს, რაც ასი წლის განმავლობაში რუსეთის საქრისტიანო მთავრობამ მიაყენა საქართველოს ეკლესიას ზიანი.

ამიერიდგან ეს აღარ უნდა იყოს და მოვითხოვოთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია,

რუსეთის მთავრობა ასი წლის განმავლობაში ჩვენს მიწა-წყალზედ თავისიანებს და უცხო ტომებს ასახლებდა, ჩვენი ხალხი კი უმიწოთ სულსა ლევდა, გაბოგანოვდა. რუსეთის მთავრობა ძალმომრეობით ჩვენ ხალხს მიწებს ართმევდა, შიგ უსახლებდა, დამკვიდრებულ სოფლებს ჰყრიდა და ზედ რუსებს ასახლებდა.

ამიერიდან ეს აღარ უნდა იყოს! მოვითხოვოთ, რომ თავისუფალი სახაზინო მიწები გადაეცეს ქართველ ერს! ასი წელიწადია, საეროზო და სახაზინო შემოსავლებს რუსეთის მთავრობა თვითონ ხმარობდა, სტრაჟნიკებსა და ბოქაულებს ჩვენი ფულით ინახავდა და ჩვენ კი სულს გვართმევდა.

და როდესაც საქართველოს ავტონომია მიენიჭება, მთელი შემოსავალი საერობო, სახაზინო, გზებისა და სხვ. გადაეცემა ქართველ ერს და თავის ქვეყნის ასაყვავებლად მოიხმარს.

მაშ გაუმარჯოს საქართველოს ავტონომიას!

მანამდის კი, საქართველოს ტანჯულო ერო, მხარი დაუჭირე რუსეთის ახალ მთავრობას დინჯად, შეგნებულად და შეერთებულად და დაიცავით კერძო საკუთრების პრინციპები ყოველივე ძალმომრეობა ძირს დასცემს ახლად აღდგენილს თავისუფლებას. მაშ, ძმებო, თაყვანი ვცეთ თავისუფლებას!

## სალამი თავისუფალ საქართველოს!

117 წელიწადია, რაც დაჰრილი არწივი მედგრად და შეუპოვრად ებრძოლება ყვავ-ყორნებს, რომლებიც ლამობენ მის შთანთქმას და გაჯიჯგნას. მაგრამ განგებამ წარმოშვა მომენტი, მომენტი იშვიათი ისტორიაში, მომენტი აღჭურვილი საკაცობრიო იდეალებით.

შორს, ჩრდილოეთ რუსეთში, აღმობრწყინდა მოელვარე, მოკაშკაშე მნათობი. მან ერთი ხელის მოქნევით გაჰფანტა შავი ბურუსი, რომელთაც საუკუნოების განმავლობაში სულთმობრძავი რუსეთი იყო მოცული. შეიცვალა რუსეთი: ძველი რუსეთი უფსკრულისაკენ ჩაექანა და თან წარიტაცა თვისი სამგლოვიარო შავი დროშაცა. მის ნაცვლად მეტად სწრაფად დაიბადა ახალი რუსეთი, რომლის ფსიხოლოგია და ფიზიონომია სრულიად აღარა ჰგავს ძველსა. აფრიალდა წითელი დროშა ზედ წარწერით: გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს, თავისუფალ ერს, თავისუფალ ადამიანს! აღსრულდა დიადი სურვილი, მისწრაფება, მიზანი დაჩაგრულ რუსის ხალხისა. კთილმა სძლია ბოროტსა! ის ხმალი, რომელიც, დიდებულ ილიას სიტყვით. ძველ სამართლის წინაშე ჩლუნგი იყო, დღეს მეტად ბასრი და მჭრელია. ძლივს, ძლივს რუსეთის ხალხმა გადიგდო კისრიდან მძიმე ტვირთი, მონობის უღელი და თავისუფლად ამოისუნთქა. დაჩაგრულ ერის და ადამიანის თავისუფლების დროშის ფრიალი მაღალი მთის თოვლიან მწვერვალიდან, თავისუფალ არწივის გამჭრიახე თვალებმა დაინახეს და ... ფრთხილად გრძნო წყლულების განკურნების ჟამი, მომავლის სიდიადე და აღფრთოვანებულმა ქართველ ჩაგრულ ერს, ხალხს, რიხიანად გადმოსძახა:

გაუმარჯოს ქართველ ხალხს, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

გ. ათანელიშვილი.

## პატარა ფელეტონი

(ძველი ამბავი). *)

ძველი ქალაქი ემზადებოდა...

ომიდან მბრძანებელი ბრუნდებოდა და დიდს დახვედრას უპირებდნენ. ხალხი გარეთ გამოშლილიყო და მოუთმენლად ელოდებოდა.

გარემოს მონური სული დასტრიალებდა.

— გამოჩნდა!.. მოდის ჩვენი უფალი! —შეიქნა ხალხში ძახილი. ხმა ელვის სისწრაფით გადადიოდა ერთი კუთხიდან მეორემდე და ყველგან ჩოჩქოლს იწვევდა.

ქალაქის კარებთან ბრბო შუაზე გაირღვა და გზა გაიხსნა.

არაბულები შემოიჭრნენ და ოქროს ეტლი შემოაქანეს. ზედ მბრძანებელი წამომდგარიყო, თავი მაღლა აეღო და მედიდურად გამოიყურებოდა. გარს ვერცხლში ჩამჯდარი ამალა ეხვია; უკან მისუსტებული, უჰმელ-უსმელი და ნაფლეთებში გახვეული ჯარი მოსდევდა.

— ბედმა ბრწყინვალე გამარჯვება მე მარგუნა!—გაისმა ხრინწიანი ლოთისებური ხმა.—მტერი განადგურდა და (აქ ცოტა ხმა დაუშვა) ძლევამოსილი ჯარით უკან დავიხიე (მიიხედ-მოიხედა).., დასასვენებლად...

მბრძანებელმა თავის ძლევამოსილს ჯარს თვალი გადაავლო.

ჯარის უფროსებს თავი დაეღუნათ, სახეზე ალმური ასდიოდათ, სირცხვილი სწვავდათ.

მამასახლისთა კრებულმა მონურად ქედი მოიხარა და თავის მბრძანებელს თავზე ოქროს გვირგვინი დაადგა.

— გაუმარჯოს ჩვენს უფალს!—შესძახა ბრბომა.

— ხალხნო!..—იჭექა ბრბოში მეხივით ხმამ.

ყველამ ცას შეხედა. ცა ლურჯად ბიბინებდა...

წინ ვინმე ვაჟკაცი წამომდგარიყო და მბრძანებლისთვის თვალი თვალში გაეყარა; სახეზე მრისხანება ეხატებოდა.

მბრძანებელმა ვეღარ გაუძლო ცეცხლით ანთებულ თვალებს და თავი ძირს დახარა; ოქროს გვირგვინი გადმოუვარდა.

— ხალხნო!.. განმეორდა მჭექარე ხმა.— გონს მოდით!.. თქვენს წინ დიდებულის ჯარის აჩრდილი-ღა სდგას!.. მტერმა გასრისა მეტი წილი!.. მტერი იმუქრებოდა, ემზადებოდა თავს დასაცემად, ჩვენი უფალი კი ნადიმობდა, ბრძოლის ღმერთისთვის ზურგი შეექცია და ქვენა გრძნობებით შეპყრობილი შიშველ ბანოვანთა ცეკვით სტკბებოდა, გარს მოლაქლაქეთა ხროვა ეხვია... პატიოსანი თვლებით შემკული ეს გვირგვინი,—გვირგვინს დასწვდა, ხელში აიღო და მაყურებლებს დაანახვა,—თქვენი სისხლნარევი ოფლით არის გაკეთებული. ამის ღირსია ქვეყნის მხსნელი!..

—- მცველნო!..—დაიწრიპინა მბრძანებელმა.—ჩემო ამალავ!.. ენაში ზანთები გაუყარეთ!

ყველანი სდუმდნენ, არ იძროდნენ.

ხალხი აღელდა, მძვინვარე ზღვას დაემსგავსა.

მბრძანებელი ეტლში მოიბუზა და მახეში გაბმულს ქურდბაცაცა ცხოველს დაემსგავსა.

— მტერი კარს მოგვადგა, ხალხნო! ქალაქის კარი გაამაგრეთ!—იჭექა ისევ უცხო ვაჟკაცმა.

კარი ჩაკეტეს.

ხალხი დაირაზმა და თავის დასაცველად გაემზადა.

მბრძანებელი ძირს ჩამოიღეს და მტერს გადაუგდეს.

— ხალხნო!.. ოქროს გვირგვინი თქვენ გეკუთვნით!—შესძახა მამაცმა მხილებელმა.—თქვენ გაიმარჯვებთ!.. გული მიხარის!

ინ—ბანი.

1915 წლის ივლისი.

*) ეს მოთხრობა შარშან წინ ცენზორმა არ გაუშვა.

რედ.

რედაქტორ-გამომცემელი
[illegible]

დაღონებულნი ძმა სტეფანე მოსეს ძე და რძალი ეკატერინე მიკირტუმას ასული მიქელაძენი. დები: თეკლე გიორგაძისა და ანუსია სიდამონიძისა გულჩათუთქულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი ძმა და მაზლი

## ლევან მოსეს ძე
# მიქელაძე

პანაშვიდი დანიშნულია შაბათ საღამოს 7 საათზე. მიცვალებულს გამოასვენებენ კვირას, დილის 10 საათზე, მუზეუმის პერ. № 4, სახლი ზუბალოვისა, კალოუბნის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—567—1)

---

ღრმად დამწუხრებული თამარი რაჟდენის ასული მიქელაძისა მცირე-წლოვანი შვილებითურთ, გიორგი და მოსიკოთი, გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი ქმარი და მამა

## ლევან მოსეს ძე
# მიქელაძე

პანაშვიდი დანიშნულია დღეს, საღამოს 7 საათზე. მიცვალებულის გამოსვენება კვირას, 12 მარტს, დილის 10 საათზე, მუზეუმის პერ. № 4, სახლი ზუბალაშვილისა, კალოუბნის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2 565—1)

---

გულდამწვარნი რაჟდენ ბესარიონის ძე ხუბოვი, ელისაბედ (ლიზა) რაჟდენის ასული და კონსტანტინე გიორგის ძე თაყაიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველისა და მეორის საყვარელი სიძე და მესამის დაუვიწყარი ქვისლი

## ლევან მოსეს ძე
# მიქელაძე

პანაშვიდი დანიშნულია დღეს, შაბათს, საღამოს 7 ს. მიცვალებულს გამოასვენებენ კვირას 12 მარტს დილის 10 საათზე, მუზეუმის ვიწრო ქუჩა № 4, სახლი ზუბალაშვილისა. კალოუბნის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

(2—566—1)

---

დღეს, შაბათს 11 მარტს, 12 საათზედ, ქართულ გიმნაზიის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის დღის შესრულების გამო პანაშვიდი

## ალექსი ბესარიონის ძის
# ჭიჭინაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, მეუღლე ეფროსინე იაკობის ასული ჭიჭინაძისა და შვილები ბესარიონ ალექსის ძე ჭიჭინაძე და თამარ ალექსის ასული კოსოვსკისა. (1—563—1)

---

კვირას, 12 მარტს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ ძვირფას და დაუვიწყარ მეუღლის

## ალექსანდრა (საშა) კონსტანტინეს ასულის
# კვირიკაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობ-მეგობართ განსვენებულის გულდამწვარნი მეუღლე პეტრე პავლეს ძე და დედამთილი სალომე დავითის ასული კვირიკაშვილნი.

წირვა დაიწყება 9 საათზე და პანაშვიდი 12 საათზე.

(2—562—1)

---

მწუხარებით გულდათუთქულნი მეუღლე ბაბილინა გოშაძისა შვილით ვახტანგითურთ, დედა სოფიო გოშაძისა, ძმები ვასილ, ბაგრატ და ესტატე, ძმისწულები პავლე და დავითი, რძალი დონეშა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ

## იასონ ფარნაოზის ძის
# გოშაძის

უდროოვოთ გარდაცვალებას.

მიცვალებული დროებით დაკრძალულ იქნება კვირას, 12 მარტს, პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიაში. გამოსვენება არამიანცის საავადმყოფოდან, დილის 9 საათზე.

(2—564—1)

---

მწუხარებით გულ დათუთქულნი ვასილ ხომასურიძე, ნოე გოშაძე და ალექსანდრე სხიერელი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მათის ძვირფასის ამხანაგის

## იასონ ფარნაოზის ძის
# გოშაძის

უდროოვოთ გარდაცვალებას.

მიცვალებული დროებით დაკრძალულ იქნება კვირას, 12 მარტს, პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიაში. გამოსვენება არამიანცის საავადმყოფოდან დილის 9 საათზე.

(2—564—1)

---

## მამულის შემძენ ქართველთა საყურადღებოთ:

ქ. თელავიდან ექვს ვერსზე, სოფ. ახატელში, ვყიდი 84 დესეტინა ტყეს, ვენახს და სახნავს, სულ 21,000 მანეთად. დაწვრილებით წერილით ანუ პირადათ: Телавъ, Нинѣ Григорiевнѣ Свимонишвили.

(3—559—1)

---



მიიღება ხელის მოწერა

# სანდრო შანშიაშვილის თხზულებაზე

26 წიგნი

## გამოვა შემდეგის სერიით:

ლექსები.
1. ცხოვრების გზაზე,
2. ტრფობის ნაშთი,
3. ხვედა მამულისადმი,
4. ბალი ხევდისა,
5. ხავალობელნი,
6. წიგნი სიმღერებისა,
7. სულამიტ,სამიჯნურო ჰანგები,
8. საბავშვო იგავ-არაკები.

ლირიკული პოემები.
9. იდუმალი ხმები,
10. ოცნების მხარეს,
11. ლანდები,
12. ორფეუს და ევრიდიკე,
13. იდუმალობის წინაშე,
14. ამირანი.

ეპიკურ-რომანტიული პოემა.
15. მედია და მშვენიერი ელენე,

დრამატიული პოემები.
16. ქალი გრძეული,
17. მეფე მკოხანი,
18. ბერდო ზმანია,
19. იგერიკო,
20. შვების თავადი,
21. უგვირგვინო მეფენი,
22. ბედი მგოსნისა.

თარგმნები.
23. ფაუსტ გიოტესი,
24. დონ-კარლოს შილლერისა,
25. კეისარ იმპერატორი კონ—სა,
26. უცხო ლირიკა.

**ხელის მომწერისთვის ყველა წიგნები ღირს 15 მანეთად.**

ფულის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად. პირველად 5 მან.,—მიიღებთ ათს წიგნს; მეორედ 5 მან.,—მიიღებთ კიდევ ათს წიგნს და მესამედ 5 მან. დანარჩენ წიგნებისათვის.

ვინც ოცს ხელისმომწერს იშოვნის, ყველა წიგნები უფასოდ დაეთმობა. ბიბლიოთეკებს ყველა წიგნები თუმნად დაეთმობათ.

**მთავარი მისამართები თბილისში:** წ.-კითხვის საზოგადოება, სასახლის ქუჩა—ვასილ ედილაშვილი; მოსკოვის ქუჩა № 4 „საქართველოს" რედაქცია; ნიკოლოზის ქუჩა № 7—სანდრო შანშიაშვილი და „სახ. ფურცლის" კანტორა. ხელის მომწერის ადრესი, სახელი და გვარი გარკვევით უნდა იქმნეს აღნიშნული

(601—4) გამომცემელი **ნარდონი.**

---

ერთად-ერთი სამხატვრო-სალიტერატურო—სათეატრო სურათებიანი კვირეული ჟურნალი

# „თეატრი და ცხოვრება"

(წელიწადი მეხუთე)

## № 11-ში მოთავსებულია წერილები:

**ივ. გომართელისა, ლ. ძიძიგურისა,** განთიადის სევდა. **სოფ. მგალობლიშვილისა** (ქართული ეკლესია და სამღვდელოება). **ვ. აფციაურისა და სხ.**

თითო ნომერი 15 კ. მიიღება 1917 წ. ხელის მოწერა. წლიურად ორი პრემიით—8 მ., ნახევარი წლით—4 მ. 50 კ., ხელის მოწერა შეიძლება „სორაპნის" სტამბაში, თბილისში, მადათოვის კუნძულზე, № 1. ფოსტით—Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба"—Іос. Имедашвили.

შენიშვნა: ჟურნალი ყველა ხელისმომწერს უკლებლივ ეგზავნება. ვისაც № დააკლდეს, დაუყოვნებლივ აცნობოს რედაქციას.

---

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის

იუმორისტულ ჟურნალ

# „ეშმაკის მათრახ"-ზე

ფასი მთელი წლით: 7 მან. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით 2 მან. თვეში 70 კ. ვისაც უნდა ჟურნალი 1 იანვრიდან მიიღოს, ფული ეხლავე უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 96, სილ. თავართქილაძეს. (უ.)

---

ექიმი კბილისა

## ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
**ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.**

---

ექიმი

## მ. ბ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

---

ექიმი

## ივანე თიკანაძე

**დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება** საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

---

ექიმი

## ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

**მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს** ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

**ეტლების „914" და „606"**

**შეშხაპუნება**

---

ექიმი

## ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
**მისამართი:** პეტროგრადის ქუჩა № 7.

---

ექიმი

## გ. ი. ვარნაძე

**იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა** საღამოს 5—7 საათამდე, ბე... ქ. № 4. (თ —202—)

---

ექიმნა

## გ. მ. მუხაძე

**იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ**
საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
**მისამართი:** დიდი მთავრის ქუჩა № 67;
ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

---

ექიმი

## გ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
**მისამართი:** ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

---

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**

## ახალი აფთიაქი

**პროვიზორის აჯემიანისა**

---

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

---

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

ყოფილი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა** ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 8.

---

# 1917 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

# „ნაკადულ"-ზე

**წელიწადი მეთორმეტე**

ჟურნალი „ნაკადული" გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

## ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

**24** წიგნი „ნაკადული"-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული"-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3 მ.** გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3 მან.** გაგზავნით **3 მ. 50 კ.** ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

**ფოსტისთვის:** Тифлисъ Головинскiй пр., 8. შემოსასვლელი დავითის **ქ. № 2.** დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

(291—17)

---

## თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეზველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან** ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი"** ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები მუდმივ გვაქვს** ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ხუთხი, თართი, **ფარგა და** ლოქო, გვაქვს **აგრეთვე** მიღებული ყოველგვარი კონსერვები **და სარდინკები** რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება

---

# ქარებს (რევმატიზმის),
## ნეკრესის
## თირკმელების (ჭაჭების)

და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია **„ურონალ"**, **და** მაზი წასასმელი **„ატრო"**, სრულიად უვნებელია და მოქმედობს ძლიერ კარგად. ფასი **„ურონალისა"** ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანეთი. მთელი წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი **„ურონალი"** და ოთხი კოლოფი მაზი **„ატრო"**. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ბეს შემდეგ. დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას.

**თბილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16: გან. 6—9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.**

Тифлисское Отдѣленiе Парижской-фармацевтической Лабораторiи Тифлисъ, Лорисъ-Мемиковская № 16, отд. 6—9. Противъ Государственнаго Банка.

---

## უპირველესი, რადიკალური და სწრაფი მასთან იაფი საშუალება

# სიფილისს,

სახსრების ავადმყოფობას, სახსრებისა და კუნთების ქრონიკულ რევმატიზმის, ნეკრესის ქარებს, საერთო გადამდებ ავადმყოფობას, ლითონებით მოწამლულს, თვალის ავადმყოფობას, სიფილისის წყლულებს, წითელას, ხერხემლის გამოფიტვას, დამბლას და სხვას **საჩქაროდ კურნავს** საქვეყნოდ ცნობილი შვეიცარიული საექიმო საშუალება **პროფესორ როშის**

# იოდასტარინი

ნუ შეგეცდლებათ სხვა პატენტოვან საშუალებებში. პროფესორ როშეს პრეპარატი წმინდა საექიმო საშუალებაა, გასინჯულია საუკეთესო ევროპიულ კლინიკებში და სანატორიებში კურსების ფასი 32 მანეთი, $^1/_2$ 16 მანეთი $^1/_4$ 8 მანეთი, ყოველი მილი 4 მანეთი და 50 კ. ღირს. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთი მანეთის ბეის მიღების შემდეგ. ვისაც რამე მოლაპარაკება და პრეპარატის შეკვეთა გსურთ, მიმართეთ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიას.

**თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა,** № 16—6—4. სახელმწიფო ბანკის ახლოს.

Тифлисское Отдѣленiе Парижской фармацевтической Лабораторiй, Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—4. противъ Государственнаго банка.

---

# სუსუნატით (გონორეა)
## ავადმყოფებს,

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „რეზუროლინი", რომელიც სულ ცოტახანში არჩენს **გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს** საშარდე ბუშტისას, ბისას და სხვ.

# რატომ

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?

# იმიტომ, რომ,

**ჯერ ერთი,** დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.

**მეორედ,** იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა.

**მაგრამ ყველა** ავადმყოფმა, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს უებარი **„რეზუროლინი"**. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა, რომ

# „რეზუროლინი"

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. მთლად მოსარჩენათ ახალი ავადმყოფისა ღირს 21 მანეთი და ძველებულისა 35 მან. 50 კ. მთელი წამლობა შეადგენს ორ საშუალებისაგან სხვა. ქვეყნებში იგზავნება 5 მანეთის ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა,** № 16, **განყ.** 6—1, **სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.**

За заказами и **справками** обратиться въ **Тифлисское Отдѣленiе Парижской-Фармацевтической Лабораторiи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1,** напротивъ Государственнаго Банка.

სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4